პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1971 წ.
№ 238 (4488)
30 ნოემბერი, შაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეტენდენტთა ფინალური მაჩი

ნანას პირველი გამარჯვება

კისლოვოდსკი, 28 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს უნდა დამთავრებულიყო ნ. ალექსანდრია (თბილისი) — ა. კუშნირის (მოსკოვი) მატჩის III პარტია, რომელიც გუშინწინ 41-ე სვლაზე გადაიდო ქართველი მოჭადრაკის უპირატესობით.

როგორც ჩანს, საშინაო ანალიზმა დაარწმუნა კუშნირი და მისი მწვრთნელი, ოსტატი ვ. იურკოვი წინააღმდეგობის უიმედობაში და მოსკოველმა მოჭადრაკემ პარტია თამაშის განუახლებლად დათმო.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3:1 ა. კუშნირის სასარგებლოდ. V პარტია, რომელშიც თეთრებით კუშნირი ითამაშებს, 30 ნოემბერს გაიმართება.

ალიოხინს რომ მოეწონებოდა...

გენიალური რუსი მოჭადრაკის ა. ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში III ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რომელმაც ლიდერთა მდგომარეობაში სიცხადე შეიტანა.

1,5-1,5 ქულა მოაგროვეს ა. კარპოვმა (ლენინგრადი) და ლ. შტეინმა (კიევი): კარპოვმა მოუგო ლ. ლენდიელს (უნგრეთი) და დაუზავდა ბ. პარმას (იუგოსლავია), შტეინმა კი სძლია დ. ბრონშტეინს (მოსკოვი) და ყაიმზე შეუთანხმდა ვ. კორჩნოის (ლენინგრადი).

ტ. პეტროსიანმა ი. ბალაშოვთან (ორივე — მოსკოვი) სწრაფად გამოიყენა გამსვლელი პაიკის ძალა და მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა. ბალაშოვმა „შური იძია“ ვ. ულმანზე (გდრ). მანამდე ულმანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რ. ბირნთან (აშშ).

ყაიმით დასრულდა ვ. სავონ (ხარკოვი) — ვ. ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრა. მ. ტალმა (რიგა) დაამარცხა ლენდიელი.

ვ. სმისლოვ (მოსკოვი) — ვ. ტუკმაკოვის (ოდესა) პარტია კვლავ გადაიდო.

IV ტური, რომელიც გუშინწინ შედგა, უაღრესად მძაფრი შეხვედრებით აღინიშნა რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში ლიდერების — სპასკისა და პეტროსიანის პარტიები იყო.

სპასკის მეტოქემ ბალაშოვმა რთული დებიუტი — სველინდური დაცვა აირჩია. იგი პირველად ხვდებოდა მსოფლიო ჩემპიონს და არ უნდოდა შერცხვენილიყო. სპასკიმ ალიოხინისებურად შესწირა პაიკი და ხელთ იგდო ინიციატივა, მაგრამ ახალგაზრდა დიდოსტატი მტკიცედ იცავდა თავს. შემდეგი ფიგურების გაცვლებით ბალაშოვმა თამაში თანაბარ ენდშპილში გადაიყვანა. ყაიმი.

ულმანმა პეტროსიანს გრიუნფელდის დაცვა შესთავაზა. თამაში თავიდანვე დაიძაბა, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ უპირატესობა ვერ მოიპოვა. ეს შეხვედრაც ყაიმით დასრულდა.

გაიმარჯვა ტალმა. ბირნის პოზიცია თავიდანვე იერიშის კარგი ობიექტი შეიქნა. რიგელმა დიდოსტატმაც არ დააყოვნა. ამერიკელმა დროს გადააცილა, მაგრამ მისი მდგომარეობა უკვე უიმედო იყო.

ლამაზად, ალიოხინის სტილში ითამაშა ბრონშტეინმა. მან პარმას პაიკი შესწირა და იერიში წამოიწყო. იუგოსლავიელმა ფიგურა დათმო ორ პაიკში, მაგრამ თავისი მეფის პოზიცია ვერ გადაარჩინა. ბრონშტეინმა საშამათო იერიშით დაამარცხა მეტოქე.

სმისლოვმა სძლია შტეინს. მანამდე იგი ყაიმზე შეუთანხმდა ტუკმაკოვს I ტურიდან გადადებულ პარტიაში.

ყაიმით დასრულდა კარპოვ — ფ. გეორგიუსა (რუმინეთი) და ტუკმაკოვ — ფ. ოლაფსონის (ისლანდია) შეხვედრები.

4 ტურის შემდეგ ბ. სპასკისა და ტ. პეტროსიანს 3-3 ქულა აქვთ, ვ. სმისლოვს, მ. ტალსა და ა. კარპოვს — 2,5-2,5.

„გურიამ“ მიზანს მიაღწია

საქართველოს წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი დიდი მონდომებითა და ენერგიით ჩაატარა ლანჩხუთის „გურიამ“, რომლის ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი შ. კაკაბაძე. გუნდი იბრძოდა ჩემპიონის საპატიო ტიტულისთვის და საწადელს მიაღწია ჯერ კიდევ მაშინ, როცა გათამაშება დამთავრებული არ იყო. ეს განაპირობა „გურიის“ თითოეული წევრის მაღალმა დისციპლინამ, პასუხისმგებლობის გრძნობამ, კარგმა ტექნიკურ-ტაქტიკურმა და ფიზიკურმა მომზადებამ.

კოლექტივის ამ წარმატებაში დიდი როლი ითამაშეს მეკარეებმა ზ. კუნჭულიამ და ე. იმედაძემ, მცველებმა თ. სამსონაძემ, რ. ქირიამ, ვ. წილოსანმა, ვ. გუბელაძემ, ნახევარმცველებმა გ. შავდიამ, გ. მენთეშაშვილმა, ვ. თევზაძემ, თავდამსხმელებმა ვ. ძიძიგურმა, ო. პერტენავამ, ბ. სიხარულიძემ, რ. ჩხარტიშვილმა, თ. ვაწაძემ და ვ. ცაგარელმა.

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა მოიგეს 35 შეხვედრა, 7 ფრედ დაამთავრეს და ამდენივე წააგეს (ბურთების ბალანსი 107—42).

ლანჩხუთის „გურია“, რომელიც სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ წარმომადგენელია, საქართველოს ჩემპიონი პირველად გახდა 1961 წელს, ხოლო 5 წლის შემდეგ გააკეთა დუბლი, ამას გარდა მიაღწია მთელ რიგ სხვა წარმატებებსაც, კერძოდ, წლეულს ჩემპიონობასთან ერთად რესპუბლიკის თასიც მოიპოვა.

გუნდის ბომბარდირთა სია ასე გამოიყურება: ძიძიგურმა გაიტანა 39 ბურთი, შავდიამ და სიხარულიძემ — 23-23, პერტენავამ — 9, ჩხარტიშვილმა — 4, ვაწაძემ — 3, სამსონაძემ, მენთეშაშვილმა და გუბელაძემ — 2-2.

არსებული დებულების თანახმად, ლანჩხუთის „გურია“ გაისად „ა“ კლასის II ლიგის ოსტატთა საკავშირო გათამაშებაში უნდა გამოვიდეს.

ი. ებრალიძე.
(ჩვენი კორ.).

ლანჩხუთი.

• • •

სურათებზე: ლანჩხუთის „გურია“. წინა რიგში (მარცხნიდან): თ. სამსონაძე, ზ. კუნჭულია, რ. ჩხარტიშვილი, გ. მენთეშაშვილი, ვ. წილოსანი, ვ. ცაგარელი; დგანან: გ. შავდია, ო. პერტენავა, ვ. ძიძიგური, ბ. სიხარულიძე, რ. ქირია, თ. ვაწაძე, ე. იმედაძე, ვ. თევზაძე, ზევით — გუნდის მწვრთნელი შ. კაკაბაძე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

უძლიერესნი გამოვლინდნენ

საუცხოო ტრადიციად დამკვიდრდა ჭადრაკში მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატების გამართვა. სწორედ ამ ტურნირებში წარმატებით გაეცნო პირველად ფართო საზოგადოებრიობა ტ. პეტროსიანს, ვ. კორჩნოის, ბ. სპასკის, ა. კარპოვს და სხვა გამოჩენილ დიდოსტატებს.

1972 წლის ზამთრის არდადეგების დღეებში უკრაინის ქალაქ ჩერნოვცში კვლავ შეიკრიბებიან უძლიერესი ნორჩი მოჭადრაკეები, რათა ახალი ჩემპიონები (ჭაბუკებში, გოგონებში) გამოავლინონ.

ცხადია, ყველა რესპუბლიკა მოწადინებულია ჩემპიონატში სათამაშოდ უძლიერესნი გაგზავნოს. ამას წინათ ბათუმში ამ მიზნით გაიმართა საქართველოს უძლიერეს მოსწავლე მოჭადრაკეთა (რესპუბლიკის ნაკრები გუნდის კანდიდატი ჭაბუკებისა და გოგონების) შესარჩევი ტურნირები.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში 12 მოსწავლე მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად დაიყვნენ. ორ-ორმა უძლიერესმა დამატებითი ფინალური ტურნირი გაითამაშა. I ადგილი დაიკავა თბილისის 50-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ გ. ზაიჩიკმა. II ადგილზეა თბილისის 149-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი გ. მაჭარაშვილი. საკავშირო ჩემპიონატში სწორედ ეს ჭაბუკები ითამაშებენ.

გოგონათა ტურნირს 8 მონაწილე ჰყავდა. ჩერნოვცის საგზურები ხვდათ I ადგილზე გასულ ნ. ფურმანს (ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა, X კლასი) და II ადგილზე მყოფ მ. წერეთელს (თბილისის მე-14 სკოლა, VIII კლასი).

შერჩევითმა ტურნირებმა გამოავლინა ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეების თამაშის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნათელი გახდა რა გზით უნდა წარიმართოს მწვრთნელთა შემდგომი მუშაობა.

გ. მაჭავარიანი,
საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი.

• • •

სურათზე: ჭაბუკი ოსტატობის კანდიდატი გ. ზაიჩიკი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ახალი ამბები-71

● **სვერდლოვსკი, 28 ნოემბერი.** აქ გამართულ შეჯიბრებაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ლ. ტიტოვამ 500 მ 45,2 წამში გაირბინა, ხოლო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ნ. სტატკევიჩმა 1500 მ — 2 წუთსა და 23,8 წამში. ციგურებით სწრაფრბენის ეს ოსტატები უკონკურსოდ ასპარეზობდნენ, „სვერდლოვსკის ახალგაზრდობის“ პრიზი კი ამ დისტანციებზე ომსკელმა ვ. კრასნოვამ (45,9) და გატჩინოელმა გ. ბარანოვამ (2.24,3) მოიხვეჭეს.

● **ტაშკენტი, 26 ნოემბერი.** ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის XIV ტურში მხოლოდ ა. განტვარგმა (მინსკი) გაიმარჯვა. მან მოუგო ლ. სლობოდსკოის (უკრაინა). დანარჩენი შეხვედრები, მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონის ა. ანდრეიკოსა (რიგა) და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის ნ. კორხოვის (ოდესა) პარტია, ყაიმით დამთავრდა. 14 ტურის შემდეგ ანდრეიკოს 10 ქულა აქვს, მ. კორხოვსა და ა. განტვარგს — 8,5-8,5, ი. კუპერმანს (კიევი), ა. მოგილიანსკის (ლენინგრადი) და ვ. აგაფონოვს (მოსკოვი) — 8-8.

● **ფხენიანი, 28 ნოემბერი.** კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელ ქალებთან ერთობლივი წვრთნის პერიოდში ცსკა ამხანაგურ მატჩში შეხვდა ადგილობრივ გუნდს, რომელსაც „8 თებერვალი“ ჰქვია. საბჭოთა სპორტსმენები დამარცხდნენ — 0:3.

● **ჟენევა, 28 ნოემბერი.** აქ გაიმართა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი, რომლის გადაწყვეტილებით 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის ტრეკზე და გზატკეცილზე ესპანეთში გაიმართება. დადგინდა სხვა დიდი შეჯიბრებების ადგილებიც. 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მედლებს ველოკროსის ოსტატები ინგლისში გაითამაშებენ, ხოლო 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე და გზატკეცილზე მონრეალში (კანადა) ჩატარდება.

[illegible]

ჩვენი მომავალი ჩემპიონები

საქართველოს მოსწავლეთა რეკორდები

მძლეოსნობა

1971 წლის 30 ნოემბრისთვის

საშუალო ასაკი (15-16 წელი)

გოგონები

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
100 მ	12,0	გ. კონონენკო (თბილისი)	1966
200 მ	25,4	ტ. პუენიჩნაია (თბილისი)	1956
400 მ	59,0	ტ. ივანოვა (თბილისი)	1970
800 მ	2.19,8	მ. მეტრეველი (თბილისი)	1969
1500 მ	5 წუთი	საწყისი ნორმატივი	
თარჯრბენი			
100 მ	14,8	მ. ალიაკრინსკაია (თბილისი)	1969
4×100 მ	49,8	საწყისი ნორმატივი	
4×400 მ	4.06,5	საწყისი ნორმატივი	
სიგრძე	582	ნ. ხნიკინა (თბილისი)	1949
სიმაღლე	165	ნ. ვლადიმერაშვილი (თბილისი)	1971
	165	მ. კიკნაველიძე (თბილისი)	1971
ბირთვი	12,57	ს ხრიპკო (თბილისი)	1970
ბადრო	47,36	ნ. ლაბაძე (ხაშური)	1971
შუბი (600 გრ)	45,10	დ. საბაური (თბილისი)	1967
ხუთჭიდი	4174	ს. ხრიპკო (თბილისი)	1969

ბიჭები

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
100 მ	10,8	ა ანტონოვი (თბილისი)	1961
200 მ	22,1	ე. კონდრატიევი (თბილისი)	1966
400 მ	52,2	გ. დუმბაძე (თბილისი)	1961
800 მ	1.58,1	ი. ბიხანოვი (თბილისი)	1971
1500 მ	4.16,0	ბ. ბიკადირი (თბილისი)	1971
თარჯრბენი			
110 მ	15,0	ნ. აბუაშვილი (თბილისი)	1970
200 მ	26,8	საწყისი ნორმატივი	
4×100 მ	45,5	საწყისი ნორმატივი	
4×400 მ	3.36,0	საწყისი ნორმატივი	
სიგრძე	691	ა. ტყემალაძე (თბილისი)	1967
სიმაღლე	196	ვ. უზმორსკი (თბილისი)	1968
სამხტომი	14 37	ლ. ხლიბოვი (სოხუმი)	1969
ჭოკი	410	ს. მარავსკი (თბილისი)	1971
ბირთვი (6 კგ)	14,13	მ. ქამკოციანი (ხაშური)	1967
ბადრო (1,5 კგ)	50,22	ზ. დოლიძე (მახარაძე)	1967
შუბი (600 გრ)	62,00	გ. ამირხანიანი (თბილისი)	1969
ურო (6 კგ)	58.82	ე. გაფრინდაშვილი (თბილისი)	1967
5 კმ სპორტული სიარული	24 48,8	გ. ბიწკინაშვილი (თბილისი)	1967
რვაჭიდი	5359	ს აბოიანი (ბათუმი)	1969

უფროსი ასაკი (17-18 წელი)

გოგონები

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
100 მ	11,7	ნ. ხნიკინა (თბილისი)	1952
200 მ	24.6	ნ. ხნიკინა (თბილისი)	1952
400 მ	57.6	ლ. ჭარბაძე (თბილისი)	1971
800 მ	2 16.6	მ. მეტრეველი (თბილისი)	1971
1500 მ	4.40.0	საწყისი ნორმატივი	
თარჯრბენი			
100 მ	14.2	ს ხრიპკო (თბილისი)	1971
200 მ	29.6	მ ალიაკრინსკაია (თბილისი)	1970
4×100 მ	48.3	საქართველოს ნაკრები	1969
4×400 მ	3.55,2	საქართველოს ნაკრები	1971
სიგრძე	598	ლ. იევლევა (თბილისი)	1958
სიმაღლე	174	მ ალიაკრინსკაია (თბილისი)	1971
ბირთვი	13.43	ლ. სესაძე (თბილისი)	1958
ბადრო	47 36	ნ. ლაბაძე (ხაშური)	1971
შუბი	45,10	დ. საბაური (თბილისი)	1967
ხუთჭიდი	4511	ს. ხრიპკო (თბილისი)	1971

ჭაბუკები

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
100 მ	10.7	ე. კონდრატიევი (თბილისი)	1967
	10,7	დ. მელაძე (თბილისი)	1971
200 მ	22.0	ე კონდრატიევი (თბილისი)	1966
400 მ	49.6	ზ. სარქისიანი (თბილისი)	1968
800 მ	1.55,5	გ. ტემჩინი (თბილისი)	1971
1500 მ	4 00.4	ი. ცანავა (თბილისი)	1966
3000 მ	8.42,8	ლ. ტიტოვი (ქუთაისი)	1967
5000 მ	15 30,8	გ. ხუფაცარია (თბილისი)	1971
2000 მ დაბრკოლებებით	6 03,2	ი. არჯევანიძე (თბილისი)	1971
თარჯრბენი			
110 მ	14,8	ა. მოშიაშვილი (ქუთაისი)	1967
400 მ	56,7	ი. ინდრიაკოვი (თბილისი)	1970
4×100 მ	42,2	საქართველოს ნაკრები	1968
	42,2	საქართველოს ნაკრები	1971
4×400 მ	3 22,0	საქართველოს ნაკრები	1971
სიგრძე	742	ვ. სანეევი (სოხუმი)	1964
სიმაღლე	206	ბ. პრესნოვი (თბილისი)	1971
სამხტომი	15.32	ლ. ხლიბოვი (სოხუმი)	1971
ჭოკი	440	ს. მანწუკოვი (თბილისი)	1971
ბირთვი	15,81	ვ ხმელიძე (მახარაძე)	1971
ბადრო	47.41	გ. გუდაშვილი (დუშეთი)	1959
შუბი	68 12	ნ. ზვიადაური (თიანეთი)	1968
ურო	65 47	ც. ფხაკაძე (თბილისი)	1969
10 კმ სპორტული სიარული	46.55,0	ზ. მალაზონია (თბილისი)	1970
ათჭიდი	6841	ი. რიმარი (თბილისი)	1971

გმირი პიონერის მემორიალი

ვიდრე რინგზე გამოვიდოდნენ, მემორიალის მონაწილეები (შეჯიბრებაში 150 სპორტსმენი მონაწილეობდა) ჯერ გმირი პიონერის კოლია მიაგოტინის მშობლიურ სოფელ კოლესნიკოვოს ეწვივნენ. სპორტსმენებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს საფლავი უშიშარი ბიჭისა, რომელმაც სიცოცხლე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში კულაკობასთან ბრძოლას შესწირა.

შემდეგ კურგანში ჩატარდა ახალგაზრდა მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც კოლია მიაგოტინის ხსოვნას მიეძღვნა. რინგზე გამოვიდნენ ალმა-ათის, სვერდლოვსკის, პერმის, კიროვის, ომსკის, ბელგოროდის და ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების წარმომადგენლები. გამარჯვება რინგის მასპინძლებს დარჩათ. მათ გადაეცათ კომკავშირის საოლქო კომიტეტის გარდამავალი პრიზი.

ეს წარმატება შემთხვევითი როდია. კრივი კურგანში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისთვის ახლახან აქ აიგო სპეციალიზებული დარბაზი, სადაც რეგულარულად მეცადინეობს 250 ბიჭი. მწვრთნელ ვ. მეჟენოვის აღსაზრდელები დამაჯერებლად გამოდიან ჭაბუკთა თუ ახალგაზრდულ შეჯიბრებებში რესპუბლიკურ და საკავშირო რინგზე.

კოლია მიაგოტინის მემორიალი დიდ მოვლენად იქცა კურგანის სპორტულ ცხოვრებაში. მისი შემდეგი „ტური“ პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყობა.

ნ. სტიაჟკინი.

კურგანი.

სერგეი ლაზოს სახელობის თასი

მოეწყო სუჩანის ველის დაბებისა და სოფლების მოსწავლე კალათბურთელთა ტურნირი. შეჯიბრება „სერგეი ლაზოს სახელობის თასზე“ ტარდებოდა. ეს საპატიო პრიზი შორეულ აღმოსავლეთში სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის პატივსაცემად დაწესდა. თასი მუშათა დასახლება სერგეევკის ნორჩმა კალათბურთელებმა დაისაკუთრეს.

„სერგეი ლაზოს თასის“ გათამაშება სუჩანის ველზე ყოველ წლიურად მოეწყობა.

ო. პალატოვი.

სუჩანი.

ამას წინათ სოხუმში ჩატარდა სსრ კავშირის თასის გათამაშება საგზატკეცილო ველორბოლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები.

სურათებზე: გუნდურ რბოლაში გამარჯვებული „ტრუდის“ ველოსიპედისტთა კოლექტივი (მარცხნიდან)—ა. კრივუცა, ნ. კარატაევა და ვ. დიმოვა; 140 კმ-ზე რბოლის მონაწილენი ასპარეზობისას.

გ. იაშვილის ფოტოები.

ფიზკულტურის კოლექტივებში

ყველაფერი საზოგადოებრივ საწყისებზე

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები გამუდმებით ზრუნავენ, რათა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ახალგაზრდობა უფრო მეტად ჩააბან.

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შემდეგ ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო რეგულარულად ატარებს ტურნირებს. სექციებში გაერთიანებულთა რიცხვი 1000-მდე გაიზარდა. სექციების საქმიანობას საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ თანრიგოსანი მუშა-სპორტსმენები გ. გურეში, ვ. ჩიმაკაძე, ს. კოჩუბინსკი, ო. მოლჩანოვა, მ. ხახანაშვილი. რეგულარულად ეწყობა სამატჩო შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში, საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირებიდან ვიმპელებითა და თასებით ბრუნდებიან.

ქარხანაში პოპულარულია ტურიზმი. თუ წინათ ფიზკულტურის ინსტრუქტორს ო. კაკულიას, ტურიზმის ენთუზიასტებს ლ. ფაჩუაშვილსა და გ. ჩარქსელიანს მუშა-მოსამსახურეთა სალაშქროდ წასაყვანად დიდი აგიტაცია სჭირდებოდათ, ახლა ეს სექცია 325 კაცს აერთიანებს. კარგად მუშაობს მონადირეთა და მეთევზეთა სექცია, რომელსაც ქარხნის უწყვეტი დაგეგმვის ბიუროს უფროსი ვ. ჯელიშვილი ხელმძღვანელობს.

ქარხანაში გამოდის კედლის გაზეთი „ფიზკულტურელთა ხმა“. მნიშვნელოვანი მოვლენების გასაშუქებლადაა განკუთვნილი სპეციალური სტენდი „ყურადღება, სპორტის სიახლენი“. რედკოლეგიას ეხმარება ქარხნის მხატვარი ვ. ბურლაკოვი.

ფიზკულტურული საბჭოს ნაყოფიერ მუშაობას ხელს ისიც უწყობს, რომ ქარხნის სპორტსმენებში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ამ საწარმოს ნაკრებმა გუნდებმა საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ სპარტაკიადაში საერთო II ადგილი დაიკავეს, ხოლო „განთიადის“ საქალაქო პირველობაში ყველას აჯობეს ჭადრაკში.

ქარხნის რადიოკვანძის დახმარებით სისტემატურად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში. კომპლექსებს წინასწარ არჩევენ და სწავლობენ საამქროთა საზოგადოებრივი მეთოდისტების სემინარებზე.

საწარმოს ფიზკულტურელებმა კარგი თაოსნობა გამოიჩინეს — მუშათა უბანში მცხოვრებ ბავშვთა დასახმარებლად საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნეს ფრენბურთის სექცია, რომელსაც მუშა-სპორტსმენები ბ. კარსანიძე და გ. ჩეფხოძე ხელმძღვანელობენ. ქარხნის სპორტდარბაზში ნორჩ მოკრივეებს № 33 პროფტექნიკური სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. შალიკიანი ამეცადინებს.

ქუთაისის ელექტრომექანიკოსებს არც სპორტული სარბიელის კეთილმოწყობა გამორჩენიათ მხედველობიდან. მათს განკარგულებაშია ფრენბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები.

გ. დოღორჯგინიძე,
ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს წევრი.

მოსავლის აღებას მიეძღვნა

გურჯაანში დიდი ინტერესი გამოიწვია ნორჩ ფეხბურთელთა რაიონულმა გათამაშებამ „იმედის თასზე“.

გადამწყვეტ მატჩში ჩუმლაყის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მწვრთნელი გ. რუაძე) მოუგეს გურჯაანის საშუალო სკოლის გუნდს — 3:2 და მოიპოვეს გარდამავალი თასი.

აქვე მოეწყო „კოლმეურნის“ გურჯაანის რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში, რომელიც მოსავლის აღებას მიეძღვნა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფ. შრომისა და მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელები. გაიმარჯვეს შრომელებმა — 5:2.

საინტერესოდ ჩატარდა რაიონის პირველობა კალათბურთში. გამარჯვება წილად ხვდათ გურჯაანის საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

ა. ჭუჭულაშვილი,
გურჯაანის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

უცხოეთის პრესა

DEUTSCHES sportecho AM WOCHENENDE

25. Jahrgang Nr. 235 Berlin, den 12./13. November 1971 20 Pf

Index 30 040

ქართველ სპორტსმენებზე

მიშა მესხი ბავშვებს გადასცემს გამოცდილებას*

... ტელმანის ქუჩაზე არის ადგილი, სადაც თავს იყრის საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ფეხბურთის ყველა გულშემატკივრის ჭირი და ლხინი, სიხარული და ვარამი. ესაა თბილისის „დინამოს" სტადიონი.

გულშემატკივრებს ახარებთ, რომ ხდება სტადიონის რეკონსტრუქცია, უკვე აღმართულია რკინა-ბეტონის ახალი კიდული კოშკები. ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ სტადიონი (იგი 1935 წელს აიგო და თავდაპირველად 25.000 მაყურებელს იტევდა, შემდეგ კი 10.000 ადგილი მოემატა) რეკონსტრუქციის შემდეგ 75.000 მაყურებელს გაუღებს კარს. მას ექნება მსუბუქი გადახურვა, პირველხარისხოვანი სათამაშო მინდორი, უაღრესად გამძლე ბალახი, თანამედროვე რადიო და ტელეაღჭურვილობა.

მაგრამ გულშემატკივრებს ჯერ ის აწუხებთ, რომ თბილისის „დინამოს" — 1936 წლიდან მოყოლებული, საუკეთესო საბჭოთა ლიგის გუნდს — ერთხელ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მრავალგზის პრიზიორს, თასის ხუთგზის ფინალისტს, „ლოკომოტივის" მოუხერხებელ სტადიონზე უხდება თამაში. ფეხბურთი და თეატრი აქ ერთნაირად უყვართ. ფეხბურთის თამაშის დღეს ქალაქში ისეთივე მღელვარება და ჩოჩქოლია, როგორის მოწმენიც ოქტომბრის ბოლოს გავხდით „ბერლინერ ანსამბლის" გასტროლების დროს. 8 სპექტაკლის შესაბამის 7-ათასამდე მაყურებელზე. ბილეთების 37.000 წინასწარი დაკვეთა მოდიოდა.

„დინამოს" სტადიონიდან ქალაქის გარეუბანში გავდივართ. აქ 1962 წელს დაბადებული ბიჭები ვარჯიშობენ. კვირა ჩვეულებრივი სამუშაო დღეა. იმედის მომცემი ბიჭები არიან? ჯემალ გაბისონია, ახალგაზრდული „დინამოს" ერთ-ერთი მწვრთნელი, ფრთხილი ოპტიმიზმის მომხრეა: „გაზეთების მეშვეობით ყოველ წელიწადს ვეძებთ ტალანტებს. ვინც კი სურვილს განაცხადებს, პატარა მისაღები გამოცდა უნდა დაიჭიროს. 30 მეტრზე რბენა, ნახევარსაათიანი თამაში ხუთკაციან გუნდში, რასაც გადაუწყვეტლობისა და დაეჭვების შემთხვევაში ვამეორებინებთ. აქ კარგად ჩნდება, ვის რა შეუძლია, ვინ რა მოიტანა".

ამის შემდეგ ჯ. გაბისონია ფასდაუდებ რეზერვზე ლაპარაკობს: ეზოს გუნდებზე. ტარდება ეზოებისა და ქუჩების, კვარტალებისა და რაიონების შეჯიბრებები. მაგალითად, თბილისის 1 მაისის რაიონის ბიჭებმა წლეულს ჩელიაბინსკში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავეს. აქედან შეირჩევა ახალგაზრდული „დინამოს" კანდიდატები. შერჩევა ძალიან მკაცრია

ოთხი თვის გამოცდა

ვინც „დინამოში" ჩაირიცხება, კვირაში სამჯერ საათნახევრიან წვრთნას გადის. მეცადინეობის პროგრამაშია თეორია, ტანვარჯიში, აკრობატიკა, ხტომა და, ცხადია, ფეხბურთის თამაში. ზამთრის ორ თვეში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძალისა და კონდიციის გამაძლიერებელ ვარჯიშებს. ჩარიცხვას მოსდევს ოთხთვიანი გამოცდა და შემოწმების შედეგი მხოლოდ ამ ოთხი თვის შემდეგ ვლინდება. სკოლებთან მჭიდრო კავშირია დამყარებული. თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გავრიილ კაჩალინი, რომელიც სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი იყო, ახლა კვლავ თბილისის „დინამოს" ჩაუდგა სათავეში. იგი არაერთხელ უნახავთ, თუ როგორ უმოწმებდა პატარა ქართველ თავდამსხმელებს საშინაო დავალებებს. მრავალმხრივი სპეციალისტი კაჩალინი გვარიანად უკრავს გიტარაზეც და „დინამოს" მოთამაშეებიც, როგორც წესი, დაუფლებული არიან რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტს. ზოგიერთმა ხატვა იცის ან ცეკვა, ამით, რასაკვირველია, უფროსი კოლეგები ბავშვებში მხოლოდ სპორტულ უნარს როდი ავითარებენ. „დინამოს" პირველი გუნდის ყოველ თამაშზე ბავშვები ბილეთებს ღებულობენ, დადიან მატჩებზე და შემდეგ გულმოდგინედ მსჯელობენ თამაშის ყოველ წვრილმანზე, ზოგჯერ თვითონ მატჩის მონაწილეებთან ერთად.

საინტერესოა, რომ ნორჩ ფეხბურთელებს, მიუხედავად სამუშაო დღისა, მრავალრიცხოვანი მაყურებელი ჰყავთ, უმთავრესად ქალები. მწვრთნელები სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი. „ყველა დედილოს, ბებიასა და მამიკოს სურს საკუთარი აზრი გამოთქვას. ყველა მარწმუნებს, რომ მის ვაჟს, შვილიშვილს, ძმისწულს განსაკუთრებული ნიჭი აქვს. მძიმე მდგომარეობაში ვართ..."

მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ სწორედ მშობლები და ნათესავები ყიდულობენ პირველ ბურთს, სწორედ ისინი უძლებენ ეზოებში ფეხბურთის მოთამაშე ბავშვების გამაყრუებელ ყიჟინას.

ფეხბურთელები რვასა და თვრამეტს შორის

როცა ორი წლის წინ მიხეილ მესხმა, საბჭოთა კავშირის 60-ანი წლების ნაკრების განთქმულმა ფეხბურთელმა, საკუთარი ინიციატივით ახალი ტალანტების აღმოჩენა და გამოვლინება ითავა, ტელევიზიაც კი ჩაება ამ მომავლის მქონე საქმეში. საქართველოს ათასამდე ყმაწვილი 8-დან 18 წლამდე გამოეხმაურა ამ მოწოდებას. შერჩევა აქაც მკაცრი იყო. ექვს ასაკობრივ ჯგუფად დაანაწილეს ბავშვები და აქაც კვირაში სამჯერ მიმდინარეობს ოცწუთიანი წვრთნა. ხარჯები (ჩაცმულობაც კი) ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა იკისრა. სავალდებულო არ არის, რომ ყველა ფეხბურთელმა ბოლომდე გაიაროს სწავლების მთელი კურსი, — გაგვიმარტა მესხმა. — სკოლაში ოთხი ფეხბურთელი მეგულება, რომლებიც გაისად „ა" კლასის გუნდებში შეძლებენ თამაშს. კლუბების წარმომადგენლები მოდიან სკოლაში და თავიანთთვის არჩევენ ხალხს. ამას გარდა, ჩვენ სტუმრების წინაშე სპეციალურ თამაშებს ვმართავთ, რომლებშიც ვცდილობთ ნასწავლის ჩვენებას. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ჩვენს მოსწავლეებს არ ვუშვებ კლუბებში, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ მოუმზადებლებად მიმაჩნია.

შემდეგ მესხმა განაგრძო საუბარი. „ფაქტიურად ჩვენი სკოლა ეს-ესაა ყალიბდება. ჯერ კიდევ არა მაქვს ბოლომდე შემუშავებული პროგრამა. ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ტექნიკისა და სისწრაფის განვითარება. ამას გარდა, აუცილებელია ბურთის გრძნობა და კიდევ ერთხელ ბურთის გრძნობა. ბიჭები შეიძლება ცაში იყურებოდნენ, მაგრამ მაინც ზუსტად უნდა გრძნობდნენ, სად და როგორ ეცემა ბურთი".

Michail Mes'chi. Seinen Schußstiefel, den linken, modellierte ein befreundeter Bildhauer für den berühmten Dynamo-

... მიშა მესხს აქვს საკუთარი პატარა ვენახი და ვარდების ბაღი, რომელსაც თვითონვე უვლის. ამასთან ბილიარდის დიდი მოყვარული და მოხალისე მხატვარია. იგი ბრაზილიურ ფეხბურთს აღმერთებს და საჭიროდ მიიჩნევს თამაშების ანალიზისთვის ფილმების მეტად გამოყენებას. მას აგრეთვე მიზანშეწონილად მიაჩნია ფეხბურთის მწვრთნელთა მეტი დიფერენცირება და სპეციალიზაცია: ერთმა მხოლოდ ტაქტიკა უნდა ასწავლოს, მეორემ — ტექნიკა და ა. შ. „ეს მხოლოდ მოსაზრებებია, რომლებიც ჩემი პრაქტიკული საფეხბურთო კარიერის მოთავების შემდეგ შევიმუშავე. ვფიქრობ, საჭიროა სწავლების უკეთესი საფუძვლების მიგნება".

ქართული ტემპერამენტი

შედარებით პატარა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (4,5 მილიონი მოსახლე) ყოველწლიურად გასაოცრად ბევრ კარგ ფეხბურთელს იძლევა. აღსანიშნავია, რომ ესენი უმთავრესად თავდამსხმელები არიან. ყველას შეტევა უნდა, თითქმის არავის სურს მცველობა, ამიტომ აქ ცდილობენ პროპაგანდა გაუწიონ კარგ მცველებს.

მიხეილ მესხი თვითონ მარცხენა გარემარბი იყო და მაყურებლები პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ მასობრივად გადადიოდნენ სტადიონის მეორე მხარეს, რათა მესხის თამაშისთვის ახლოდან ეყურებინათ. ტემპერამენტი მიშას არც ახლა აკლია. არ შეიძლება არ აღვნიშნო მისი უზადლო სტუმართმოყვარეობა, რაც მარტო ახალ-ახალი ქართული კერძების შემოთავაზებით კი არ ამოიწურებოდა, არამედ უფრო სტუმრისადმი გულწრფელ ინტერესსა და ყურადღებაში გამოიხატებოდა. მის მიერ კიბეზე ნათქვამი გამოსათხოვარი წინადადება ხალხური სიბრძნის შემცველი ანდაზასავით ჟღერდა: „ადამიანი ძილშიც კი ვერ ისვენებს ისე კარგად, როგორც მაშინ, როცა სტუმარი ჰყავს".

გიუნთერ ბელმანი,
„დოიჩეს შპორტეჰოს" (გდრ) სპეციალური კორესპონდენტი.

---

* იბეჭდება პატარა შემცირებით.

სტატისტიკოსის თვალით

⊙ გარდა იმისა, რომ მოსკოვის არმიელებმა ჩემპიონობიდან წლეულს XII ადგილზე ჩამოინაცვლეს, მათ დებიუტანტებმაც გაუსწრეს. ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში, როცა 1958 წლის ჩემპიონმა — მოსკოვის „სპარტაკმა" მომდევნო წელს VI ადგილი დაიკავა, ხოლო როსტოვის არმიელებმა — IV.

⊙ პირველად მოხდა ის ამბავიც, რომ ამიერკავკასიის ორი გუნდი ერთად გავიდა საპრიზო ადგილებზე.

⊙ თბილისის დინამოელებმა განვლილ ჩემპიონატში III ადგილი დაიკავეს და ბურთების თანაბარი ბალანსი აქვთ. ასეთი რამ მოხდა მხოლოდ ერთხელ, 1953 წელს, როცა მოსკოვის „ტორპედო" III ადგილზე იყო და ბურთების შეფარდება ჰქონდა 34:34.

⊙ თბილისის „დინამო" ერთადერთი გუნდია, რომელმაც განვლილ ჩემპიონატში სტუმრად უფრო მეტი ბურთი გაიტანა (17), ვიდრე შინ (16).

⊙ თბილისის „დინამო" ერთადერთი გუნდია, რომელთანაც კიევის „დინამომ" წლეულს ქულათა უარყოფითი ბალანსი მიიღო.

⊙ თბილისის „დინამოს" ახალგაზრდა მეკარე თ. სტეფანიას წლევანდელ ჩემპიონატში შინ არ გაუშვია არც ერთი ბურთი.

მ. ყიფშიძე.

• • •

⊙ თბილისის „დინამო" რეკორდსმენია III საპრიზო ადგილის დაკავებაში: იგი 9-ჯერ იყო ბრინჯაოს მედლების მფლობელი.

⊙ წლეულს სამეულში ვერ მოხვდა მოსკოვის ვერც ერთი გუნდი. ეს მეორე შემთხვევაა საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში (პირველად — 1966 წელს).

⊙ წლევანდელ ჩემპიონატში II ადგილი პირველად მოიპოვა ერევნის „არარატმა". საინტერესოა კიდევ რომელი გუნდები გასულან სამეულში სსრ კავშირის ჩემპიონთა გარდა? ესენი არიან: მოსკოვის „მეტალურგი" (1938 წ.), დონეცკის „შახტიორი" (1951 წ.), მინსკის „დინამო" (1954 და 1963 წ.წ.), მოსკოვის „ლოკომოტივი" (1959 წ.), დონის როსტოვის ასკ (1966 წ.) და ბაქოს „ნეფთჩი" (1966 წ.).

ზ. ქუთათელაძე.

საბჭოთა გუნდები — საზღვარგარეთ

სტამბოლი, 27 ნოემბერი. სსრ კავშირის ნაკრებმა გუშინწინ „მიღხათ-ფაშას" სტადიონზე გამოსვლით დაამთავრა თავისი ტურნე უცხოეთში. იგი აქ თურქეთის ცნობილ გუნდ „ფეხერბაჰჩეს" შეხვდა.

დუნედ გათამაშებული დებიუტის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებმა ტემპს უმატეს, მტკიცედ იგდეს ხელთ ინიციატივა და კონკოვმა ანგარიში გახსნა. სტუმრების შეტევები შესვენებამდე არ დამცხრალა. მათ პირველ ტაიმში კიდევ ორი ბურთი გაიტანეს.

შესვენების შემდეგ საბჭოთა ნაკრები კვლავ იერიშზე გადავიდა და 62-ე წუთზე ფედოტოვმა ლამაზი დარტყმით მასპინძელთა კარში მეოთხე ბურთი მოათავსა.

თურქებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს (ზიია) და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი — 1:4.

ნაირობი, 27 ნოემბერი. ტაშკენტის „ფახთაქორი" აქ კენიის ნაკრებთან დამარცხდა — 0:2.

ბეირუთი, 28 ნოემბერი. ერევნის „არარატმა" აქ ფრედ ითამაშა ადგილობრივ „ნეჟმისთან" — 0:0.

ადის-აბება, 28 ნოემბერი. ტაშკენტის „ფახთაქორი" კენიიდან ეთიოპიაში ჩამოვიდა და მწვავე ბრძოლაში სძლია ამ ქვეყნის ნაკრებს — 1:0. მაღალმთიანეთის (2400 მ ზღვის დონიდან) პირობებმა ერთობ გააძნელა მათი გამოსვლა, მაგრამ ტაშკენტელებმა შეძლეს მასპინძელთა იერიშების მოგერიება და თავად გაიტანეს გამარჯვების გოლი.

უეფა-ს თასზე

როგორც „ლელოს" 27 ნოემბრის ნომერში ვიუწყებოდით, უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში არადის უტა-მ (რუმინეთი) ანგარიშით 3:0 დაამარცხა სეტუბალის „ვიტორია" (პორტუგალია).

სხვა მერვედფინალური მატჩები ასე დამთავრდა.

„კარლ ცაისი" (გდრ) — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" (ინგლისი) 0:1
„რაპიდი" (ავსტრია) — „იუვენტუსი" (იტალია) 0:1
„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „ლიერსი" (ბელგია) 1:0
„სენტ-ჯონსტონი" (შოტლანდია) — „ჟელეზნიჩარი" (იუგოსლავია) 1:0
„მილანი" (იტალია) — „დანდი" (შოტლანდია) 3:0
„აინტრახტი" (გფრ) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი) 1:1.

შესარჩევი შეხვედრები

ათენი, 28 ნოემბერი. უეფა-ს ტურნირის — ევროპის ჭაბუკ ფეხბურთელთა არაოფიციალური პირველობის შესარჩევ მატჩში ბულგარეთის ნაკრებმა კვლავ სძლია ბერძნებს — 1:0. გამარჯვებული წინასწარი გათამაშების მეორე წრეში გავიდა. გაისად გაზაფხულზე ბულგარელი ჭაბუკები ორჯერ შეხვდებიან სსრ კავშირის წარმომადგენლებს. ამ მატჩებში გამარჯვებული 16 საუკეთესო გუნდის ფინალური ტურნირის საგზურს მიიღებს. ფინალი 1972 წლის მაისში გაიმართება ესპანეთის სტადიონებზე.

ბოგოტა, 28 ნოემბერი. სტარტი აიღო ოლიმპიურმა შესარჩევმა ტურნირმა სამხრეთ ამერიკის ზონაში. I ჯგუფში (მატჩები მიმდინარეობს ქალაქ კალიში) არიან ჩილის, ბრაზილიის, ეკვადორის, ბოლივიისა და არგენტინის გუნდები, ხოლო II (ბოგოტა) — პერუს, კოლუმბიის, ურუგვაის, ვენესუელისა და პარაგვაის კოლექტივები.

პირველმა ტურმა ასეთი შედეგები მოგვცა: ჩილი — ბოლივია 1:1, ბრაზილია — ეკვადორი 1:1, პერუ — ვენესუელა 3:0, კოლუმბია — ურუგვაი 2:1.

ფეხბურთი სოფლად

✦ ზუგდიდი

თვეზე მეტს გასტანა „კოლმეურნის" რაისაბჭოს გათამაშებამ „ოქროს თავთავის" თასზე 16 გუნდის მონაწილეობით. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცაიშისა და ზედა ეწერის გუნდები. მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა, მაგრამ ბურთების უკეთესი ბალანსით უპირატესობა მიეკუთვნათ ცაიშელებს (მწვრთნელი ლ. გარდავა).

ა. ფიფია.

✦ გულრიფში

თითქმის სამ თვეს იბრძოდნენ საპატიო პრიზისთვის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელთა გუნდები. გათამაშების დასასრულს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობისა და მაჭარის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდებს. უპირატესობა მიენიჭათ მაჭარელ ფეხბურთელებს.

შ. ჯალაღონია.

✦ თერჯოლა

სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლაში ყოველწლიურად იმართება შიდასაკოლექტივო პირველობა ფეხბურთში. წლევანდელ შეჯიბრებაში წარმატება წილად ხვდათ IX-ა კლასის ფეხბურთელებს.

რ. გველესიანი.

ოლიმპიადის ირგვლივ

უ. კეკონენი აკრიტიკებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს

ჰელსინკში, ივასკილას უნივერსიტეტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, ფინეთის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა, რომელიც თავის დროზე საკმაოდ კარგი მძლეოსანი იყო, სასტიკად გააკრიტიკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელმაც იუნესკოს ფუნქციები მიითვისა, ხშირად არღვევს მის მიერვე მიღებულ წესებსა და ტრადიციებს, სათანადოდ არ იცავს დემოკრატიზმის პრინციპებს, არ ამოწმებს სექციების მუშაობას.

● ●

ბილეთების ნახევარი გაიყიდა

მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ თამაშებზე დასასწრები სამნახევარი მილიონი ბილეთიდან უკვე ნახევარი გაიყიდა, მათ შორის, 506200 — საზღვარგარეთ. ყველაზე მეტი — 83 ათასი ბილეთი გასაღდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მხრივ მეორე ადგილზე არიან იუგოსლავიელები, რომლებმაც 47 ათასი ბილეთი წაიღეს. საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით 17110 ბილეთი შეიძინეს. ბილეთების გაყიდვა 31 დეკემბრამდე გაგრძელდება.

● ●

მოკრივეთა სარბიელი

მიუნჰენში დასასრულს უახლოვდება მოკრივეთა ოლიმპიური სარბიელის მოწყობა. დარბაზი ქალაქის გარეუბანში, ობერვიზენტალში შენდება. ნაგებობა იანვრისთვის უნდა იყოს მზად. დარბაზი, რომლის რინგზეც გამარჯვებისთვის 400-მდე სპორტსმენი იბრძოლებს, 7200 მაყურებელს დაიტევს.

● ●

ივლისში შეიქმნება

ამერიკის შეერთებული შტატების ძალოსნობის ფედერაციამ მიუნჰენის ოლიმპიადისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყო — ფედერაციის წარმომადგენლები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს ამერიკელ ათლეტთა შედეგებს. მაგრამ მიუნჰენის ოლიმპიური თამაშებისთვის ნაკრების კანდიდატების შერჩევის საკითხი მათ საბოლოოდ ვერ გადაწყვიტეს, ვინაიდან ფედერაციის წევრთა შორის თითქმის ყველა კანდიდატზე აზრთა სხვადასხვაობაა. მაშინ ფედერაციამ მიიღო დადგენილება, რომ ეს საკითხი შემდეგისთვის გადადოს და ნაკრები ქვეყნის 1972 წლის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დააკომპლექტოს. ამერიკის პირველობა კი ივლისში გაიმართება. აშშ-ს ნაკრებში კანდიდატად ყველა სახეობაში 3-3 პრიზიორი ჩაირიცხება. მიუნჰენის საგზურებს მიიღებენ ის სპორტსმენები, რომლებიც უფრო გვიან გამართულ შესარჩევ ტურნირებში იმარჯვებენ.

103 : 68

გუშინწინ კიევში შედგა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი: ადგილობრივმა არმიელებმა სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს უმასპინძლეს. ბრძოლის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა — სტუმრებმა ალმავლობით ითამაშეს და შესვენებაზე 23-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ — 51:28.

მეორე ნახევარი ფაქტიურად პირველის გამეორება იყო. ჩემპიონის ხელწერა იმდენად სარწმუნო და შთამბეჭდავი გახლდათ, რომ მასპინძლებმა დროზე ადრე დაყარეს ფარ-ხმალი და მხოლოდ ინერციით დაამთავრეს მატჩი. ცსკა-მ სატურნირო ცხრილში მეორე გამარჯვება ჩაიწერა, ამჯერად ანგარიშით 103:68.

„მოსკოვის ციგურები“ დამთავრდა

მოსკოვი 28 ნოემბერი. ლუჟნიკში მდებარე სპორტის სასახლეს დღეს აურაცხელი მაყურებელი ეწვია — ყველა სიამოვნებით უმზერდა ფიგურულ ციგურაობაში ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების — „მოსკოვის ციგურების“ მონაწილეთა საჩვენებელ გამოსვლებს. ეს ტურნირი გუშინ დამთავრდა და ასეთი შედეგები მოგვცა: წყვილთა სრიალში გაიმარჯვეს ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა, ყინულზე სპორტულ ცეკვებში — ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა, ვაჟთა შორის — ს. ჩეტვერუხინმა, ხოლო ქალებში — მ. ტიტოვამ.

სტუმართა შორის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს გდრ-ის წარმომადგენელმა შ. კნოლმა (ერთეულ ქალთა შორის III ადგილი), ჩეხოსლოვაკიელებმა დ. და მ. სკოტნიცკებმა (ცეკვებში V ადგილი), იაპონელმა ი. ხიგუტიმ (ერთეულ ვაჟთა შორის V ადგილი).

რეკორდები

პორი (ფინეთი), 29 ნოემბერი. საშუალო წონის ფინელმა ძალოსანმა კაარლო კანგასნიემიმ თავისი მე-17 მსოფლიო რეკორდი დაამყარა —. აქ გამართულ შეჯიბრებაში 155 კგ აიტაცა. ეს შედეგი კილოგრამნახევრით აღემატება კანგასნიემის თანამემამულე ი. აველანის უწინდელ მიღწევას.

კანგასნიემი, რომელმაც მეხიკოში ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა ქვემძიმე წონაში, ამ წლინახევრის წინ მძიმედ დაშავდა და ფიცარნაგს მხოლოდ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა, — ლიმის მსოფლიო ჩემპიონატში საშუალო წონის ათლეტთა შორის ვერცხლის მედალი მოიგო.

როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... 19^{45}

◆ **გეტებორგი, 29 ნოემბერი.** „მშვიდობის თასი“ იუგოსლავიის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალური მატჩის დამატებით დროში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი — რუმინეთის ეროვნული გუნდი — 17:15 (9:5). III საპრიზო ადგილზე გავიდა საბჭოთა პროფკავშირების ნაკრები. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მან ჩეხოსლოვაკიის გუნდს აჯობა — 15:12 (8:5).

ობიექტივში მსოფლიო

სალიდერო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეჯიბრების მომენტი იტალიის ქალაქ ვარეზეს ტრეკზე. იტალიელი დომენიკო დე ლილო (მარჯვნივ) და ჰოლანდიელი კორნელიუს სტემი ასპარეზობის დროს. თავიანთ ლიდერებთან ერთად მათ შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.



● ●

ტოკიო. ვენესუელელ მოკრივე ანტონიო გომესს მსაჯი თავის კუთხისკენ უხმობს. იაპონელი შოზო საიო, რომელიც გომესმა მეხუთე რაუნდში გაგზავნა ნოკაუტში, ჯერ კიდევ გაბრუებული გდია იატაკზე.

„პენა ფოტო“ (იაპონია).



მისი ოცნების ავტომანქანა

ხარკოველ ავტომრბოლელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. ნიკიტინს ბევრჯერ გაუუმჯობესებია ქვეყნის რეკორდი. მის ანგარიშზე ცხრა უმაღლესი მსოფლიო მიღწევაც მოდის!

... სულ ახალგაზრდა იყო ნიკიტინი, ქალაქის ერთ-ერთი ქარხნის სამჭედლო საამქროს რომ მიაკითხა. გაეცნო რთულ ტექნიკას. მალე წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავებისკენ გაუწია გულმა, მაგრამ მფრინავი არ გამხდარა. ჯერ არმიაში დაიწყო სამსახური, მერე კი ომმა შეუშალა ხელი.

ნიკიტინის საფრონტო გზები ხარკოვზე, დონბასზე, კარპატის მთებზე, პრაღაზე გადიოდა. მამაცმა და ჭკვიანმა შოფერმა ბევრი ორდენითა და მედლით დაიმშვენა მკერდი.

მას შემდეგ შეუყვარდა ავტომანქანა. დარწმუნდა, რომ დიდი სისწრაფის მიღწევა მარტო ცაში კი არა, მიწაზეც შეიძლება. 1953 წელს ნიკიტინმა საკუთარი კონსტრუქციის მანქანით 10 კილომეტრი საათში 260 კმ სიჩქარით დაფარა!

მრბოლელის ყოველი სპორტული ჯილდო წარმატებით დამთავრებული შეჯიბრების შედეგია. მაგრამ ხდება სხვაგვარადაც. ერთ-ერთ სარეკორდო ცდაზე „ხადი-4“-მა (ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის მოდელი) მარილიანი ბასკუნჩაკის ტბის ამომშრალი ფსკერის სარკისებურ ზედაპირზე ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ სპორტსმენს წამში 100 მეტრით წინ მიაქროლებდა. და აი, ერთ-ერთი ბორბლის სალტე გასკდა.

ნიკიტინს ალბათ წამიც არ ჰქონდა მოფიქრებისთვის. წინ გულშემატკივრებისა და ქრონომეტრისტების მთელი ჯგუფი იდგა. ნიკიტინმა რაღაც სასწაულით შეაბრუნა საჭე. მანქანა ჰაერში აიჭრა, გადაბრუნდა და ცეცხლი მოედო. საბედნიეროდ, მრბოლელს არაფერი დაშავებია.

ახალი ტექნიკის გამომცდელთა პროფესია, რეკორდსმენთა მიღწევები რისკთანაა დაკავშირებული, ამიტომ მათ შორის მშიშარას ვერ შეხვდებით. წარმატების საწინდარია სიმშვიდე, ზუსტი გაანგარიშების უნარი, უმაღლესი ოსტატობა.

პირადი სიმამაცე მხოლოდ ერთ-ერთი თვისებაა ნიკიტინისა. ესაა შემოქმედი კაცი, რომელსაც უდიდესი გამოცდილება და ცოდნა აქვს. იგი ათი წელია სათავეში უდგას სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროს ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტში. ასობით ინჟინერი მას თავის მასწავლებლად მიიჩნევს: საკონსტრუქტორო ბიუროში ხომ ისინი პრაქტიკულად იღრმავებდნენ ცოდნას, შესანიშნავ წვრთნას გადიოდნენ.

ახლა ავტოსაგზაო და სამხატვრო-სამრეწველო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ჯგუფი ნიკიტინის ხელმძღვანელობით ქმნის უჩვეულო მანქანას „ხადი-9“. ნახაზები და გაანგარიშებანი უკვე მზადაა. აი, ამ „მიწიერი რაკეტის“ ზოგიერთი ტექნიკური მონაცემი: წონა 3 ტონა, სიგრძე 10 მეტრი, სიმაღლე — 1,2 მეტრი, გაზტურბინის საავიაციო ძრავა 5000 ცხენის ძალის სიმძლავრით საჭიროების შემთხვევაში საათში 1000 კმ-ზე მეტ სისწრაფეს განაპირობებს.

ხარკოველები ყურადღებით სწავლობენ სპორტული ავტომშენებლობის გამოცდილებას. აშშ-ს ფირმების კარტიანება „რეაქტიულმა დინამიკამ“ ხარკოვში გამოგზავნა ფოტოსურათების ალბომი და დაწვრილებითი აღწერა „ცისფერი ელვისა“, რომლითაც გარი გაბელიჩმა დედამიწაზე სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — 1014,6 კმ საათში.

— პროექტით ძალიან გატაცებული ვართ და გვჯერა, რომ საქმე წარმატებით დაგვირგვინდება, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ვ. ნიკიტინმა. — ბევრი ტექნიკური სირთული გველოდება, მაგრამ ია-ვარდით ჩვენი გზა არც სხვა დროს ყოფილა მოფენილი. „ხადი-9“ უკვე მეცამეტე სარბოლო ავტომანქანაა ჩვენი საკონსტრუქტორო ბიუროსთვის.

ვარაუდობენ, რომ „ხადი-9“-ის მძღოლობას ანდობენ ან ავტოსაგზაო ინსტიტუტის დიპლომანტ ოლეგ აკიმოვს, ან ნიკიტინის ვაჟს, ამავე ინსტიტუტის სტუდენტს, 22 წლის იგორს.

ო. გონჩაროვი.
(საკდესის კორ.).

ხარკოვი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04936